განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე

„სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღების მიზეზს წარმოადგენს „სამხედრო ძალების რეზერვისა და სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის შემუშავება, რომელიც ახლებურად არეგულირებს სარეზერვო სამსახურთან დაკავშირებულ საკითხებს.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია „სამხედრო ძალების რეზერვისა და სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ და ,,სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონების საფუძველზე ისე დარეგულირდეს სარეზერვო სამსახურთან და მობილიზაციასთან დაკავშირებული საკითხები, რომ არ მოხდეს აღნიშნულ კანონებს შორის ნორმათა კოლიზია.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

სარეზერვო სამსახურის აქტუალობიდან გამომდინარე, კერძოდ სარეზერვო სამსახურის სრულყოფილად დაკომპლექტებისა და ამოქმედებისათვის აუცილებელია რეზერვში ჩარიცხულ პირებს ჰქონდეთ მაქსიმალური ხელშეწყობა სახელმწიფოსაგან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია ,,სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლს დაემატოს მე-8 პუნქტი, რომლის თანახმად, სამხედრო ძალების რეზერვში ჩარიცხულ პირს შეუნარჩუნდება კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის მიღების უფლება და აგრეთვე, არ შეუწყდება წარმოშობილი უფლება კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის მიღების თაობაზე.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

დაფინანსების წყაროს წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტი არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კომპენსაციის გასაცემად აუცილებელი საჭირო ხარჯები დაფინანსდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ასიგნებებიდან.

დღეისათვის კომპენსაციის ოდენობა დაახლოებით არის 200 დან 560 ლარამდე. გამომდინარე იქიდან, რომ აქტიურ სარეზერვო სამსახურში პირთა გამოძახება მოხდება თავდაცვის მინისტრის მიერ განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნების მიხედვით, წინასწარ იმის განსაზღვრა თუ რა რაოდენობის კომპენსაციის მიმღები პირი იქნება ჩარიცხული/გაწვეული რეზერვში ან რა ოდენობის კომპენსაცია ექნებათ მათ დანიშნული არის შეუძლებელი. მით უფრო ამის განსაზღვრა წინასწარ შეუძლებელი იქნება სამობილიზაციო რეზერვის გამოძახების შემთხვევაში. რეზერვისტები წლის განმავლობაში სამხედრო შეკრებებს გაივლიან არაუმეტეს 45 დღის ვადით. ამდენად, კომპენსაციის მიღების უფლება პირს არ შეუწყდება - აქტიური რეზერვის შემთხვევაში კონტრაქტის მოქმედების ვადაში, ხოლო სამობილიზიაციო რეზერვის შემთხვევაში 45 დღის განმავლობაში.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტი წარმოშობს ფინანსურ შედეგებს იმ პირთათვის, რომლებზეც ვრცელდება კანონპროექტი.

პროექტის მიღება გავლენას მოახდენს იმ პირებზე რომლებსაც გააჩნიათ კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის მიღების უფლება. კერძოდ, აღნიშნული პირებს რეზერვში გაწვევის შემთხვევაში შეუნარჩუნდებათ კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის მიღების უფლება და აგრეთვე, არ შეუწყდებათ წარმოშობილი უფლება კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის მიღების თაობაზე.

დღეისათვის კომპენსაციის ოდენობა დაახლოებით არის 200 დან 560 ლარამდე. გამომდინარე იქიდან, რომ აქტიურ სარეზერვო სამსახურში პირთა გამოძახება მოხდება თავდაცვის მინისტრის მიერ განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნების მიხედვით, წინასწარ იმის განსაზღვრა თუ რა რაოდენობის კომპენსაციის მიმღები პირი იქნება ჩარიცხული/გაწვეული რეზერვში ან რა ოდენობის კომპენსაცია ექნებათ მათ დანიშნული არის შეუძლებელი. მით უფრო ამის განსაზღვრა წინასწარ შეუძლებელი იქნება სამობილიზაციო რეზერვის გამოძახების შემთხვევაში. რეზერვისტები წლის განმავლობაში სამხედრო შეკრებებს გაივლიან არაუმეტეს 45 დღის ვადით. ამდენად, კომპენსაციის მიღების უფლება პირს არ შეუწყდება - აქტიური რეზერვის შემთხვევაში კონტრაქტის მოქმედების ვადაში, ხოლო სამობილიზიაციო რეზერვის შემთხვევაში 45 დღის განმავლობაში.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტით არ დგინდება რაიმე გადასახადი, მოსაკრებელი ან სხვა სახის გადასახდელი.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს პარლამენტის წევრი კობა კობალაძე

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის წევრი კობა კობალაძე